ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## რესპუბლიკის მთავრობისა

**სამხედრო უწყების მიმართ.**

28 აგვისტო, 1919 წ. ქ. ტფილისი.

## № 185

ამასთანავე ვაცხადებ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად ჩემ მიერ დამტკიცებულთ:

I) დებულებას რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა: არტილერიის შეიარაღების და საომარ მასალათა დათვალიერების შესახებ, II. მოკლე დასტურლამას (ინსტრუქცია) იარაღეულობის და სასროლ მასალათა შენახვის, მოვლის და გაფრთხილების შესახებ და ჯართა ნაწილებში ამ საგანთა აღრიცხვის წარმოების შესახებ და III. ნუსხას დებულებათა, რომლებითაც ჯერ არს ხელმძღვანელობა არტილერიის ნაწილებში იარაღეულობის და საომარ მასალათა დათვალიერების დროს, ვბრძანებ:

1. ყოველი თვის 1-ლი რიცხვისთვის უნდა წარმოდგენილ იქმნეს სამნეო განყოფილების საარტილერიო სექციაში და გენერალურ შტაბის უფროსთან ცნობები ჯართა ნაწილებში იარაღეულობის და საომარ მასალათა მდგომარეობის შესახებ, ყოველ გვარ იარაღეულობის ხარისხის სწორი ჩვენებით.

2. შეიარაღების საგანთა აღრიცხვის წარმოება ჯართა ნაწილებში დაევალოს: ქვეითა ცხენოსანთა ნაწილებში—იარაღეულობის გამგეს (იარაღეულობის ტეხნიკოსებს), ხოლო არტილერიაში—არტილერის ტეხნიკოსებს. ეს აღრიცხვა გულდასმით უნდა იქმნეს ხოლმე გასინჯული ჯარის ერთეულის უფროსის თანაშემწის—სამნეო ნაწილის გამგის მიერ, რომელსაც ევალება უმახლობელესი ზედამხედველობა გაუწიოს იარაღეულობის და საომარ მასალათა რიგზე შენახვას, მოვლას და გაფრთხილებას. შეიარაღების საგანთა დაკლების შემთხვევაში უნდა იქმნეს ნაჩვენები ამისი მიზეზი;

3. იარაღეულობის შესაკეთებლად ყოველი ცალკე ერთეულთან უნდათ მოწყობილი იქმნას იარაღეულობის ან ზარბაზნეულობის შესაკეთებელი სახელოსნოები ჯარის ტეხნიკოსების ზედამხედველობის ქვეშ.

4. აფიცერთა შემადგენლობას უნდა შეთვისებული ჰქონდეს იარაღეულობის შენახვის და შესწორების წესები, რისთვისაც სამხედრო სასწავლებელში და ჯართა ნაწილებში უნდა მოეწყოს ლექციების კითხვა ამ საგანზე.

5. იარაღების ანუ სასროლ მასალათა დაკარგვის შესახებ, ერთეულთა უფროსებმა უნდა დაუყონებლივ მოახსენონ უფროსებს, იმავე დროს სამხედრო მინისტრს უშუამავლოდ.

სამხედრო მინისტრის მაგიერ,
გენერალი **ხედევანიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) აღწერილობა იარაღის, მოწყობილობისა და სახელმძღვანელებისა რომელნიც არიან გუნდში, ესკადრონში, მცირე გუნდში ირაღის გაშინჯვის დღისთვის.

ი) ცნობა ერთეულის სიით შემადგენლობის შესახებ.

კ) ცნობა სასროლ მასალათა მოცემის შესახებ.

ლ) ნუსხა იარაღის ნაწილების შესახებ, რომელნიც უვარგისნი აღმოჩნდენ გასინჯვის შემდეგ.

**შენიშვნა:** აღნიშნული წიგნები და ბლანკები შეიძლება შეძენილ იქმნეს სამხედრო სამინისტროს სტამბაში, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქ.

**დანართი: № III**

# ჩამოთვლა

**დებულებათა, რომლებითაც ჯერ არს ხელმძღვანელობა არტილერიის ნაწილებში იარაღეულობის და სასროლ მასალათა გასინჯვის და შენახვის დროს.**

| ჩამოთვლა დებულებათა. | შინაარსი დებულებათა |
|---|---|
| სახელმძღვანელონი საველე არტილერიის სამსახურისა: | |
| 3" (გოჯიანი) საველე 1902 წ. ნიმ. ნაწილი I. | მოწყობა ზარბაზნის; დაშლა და აწყობა; გასინჯვა და მოშორება სინაკლულეთა; მობყრობა და მოვლა; ჩამოთვლა თახუმის და სათადარიგო ნაწილებისა, კუთვნილებათა და ხელსაწყოთა, რაოდენობა საწმენდი მასალისა, წასასმელისა და შესაღებისა, ტვიფართა ადება. |
| ნაწილი II . . . . . | მოწყობილება ლაფეტისა; დაშლა და აწყობა; გასინჯვა და მოშორება სინაკლულეთა; მობყრობა და მოვლა; ნუსხა თახუმისა და სათადარიგო ნაწილებისა, ხელსაწყობებისა; აღწერა პანორამის ოპტიურ ნაწილებისა და სამიზნო მოწყობილობათა 1906 ნიმუშ: |
| ნაწილი III . . . . . | ზარბაზნის წინალი და სამუხთე ყუთი 1900 წ. ნიმუშისა (ჯავშნიანი და უჯავშნო) გამოც. 1916 წ. მოწყობილობა წინალისა, და სამუხთეყუთისა მოწყობილება ლანკანებისა და კუთვნილებათა ყუთებისა; სალაშქრო კუთვნილებანი; გასინჯვა და მოშორება სინაკლულეთა; მობყრობა და მოვლა; ნუსხა ნაწილებისა, კუთვნილებისა და მასალებისა. |
| 3„ (გოჯიანი). სამთ 1909 წ. ნიმ. ნაწილი I. | მოწყობილება ზარბაზნისა. დაშლა და აწყობა: გასინჯვა და მოშორება სინაკლულეთა; მობყრობა და მოვლა; გაფრთხილებანი უტყვიო, ფუყი ვაზნებით და ასაფეთქებელი ყუმბარებით სროლისას; ნუსხა ნაწილებისა, კუთვნილებათ და მასალებთა. |

| | |
|---|---|
| ნაწილი II . . . . . | მოწყობილება ლაფეტისა; დაშლა და აწყობა; გასინჯვა და ნაკლულებათა მოშორება; მობყრობა და მოვლა; სიები და უწყებები სათადარიგო ნაწილებისა და კუთვნილებათა. |
| ნაწილი III . . . . . | წინალი და მუხტის ყუთი, საბარგულო საავაზნე ყუთი; გასინჯვა და მოშორება ნაკლულებათა; მობყრობა და მოვლა; ჩამოთვლა და უწყებები ნაწილებისა. |
| 48 ხაზ. გაუბიცა 1910 წ. ნაწილი I . . . . . | მოწყობილება გაუბიცისა; დაშლა და აწყობა; გასინჯვა და ნაკლულებათა მოშორება; მობყრობა და მოვლა; სროლა ასაფეთქებელი ყუმბარებით მშვიდობიან დროს; სროლა უტყვიო ვაზნებით; გაწმენდა და შენახვა; ჩამოთვლები და უწყებები ნაწილებისა, კუთვნილება ხელსაწყოთა და წასასმელ მასალათა; გამარტივებული სინჯვა ზარბაზნის და თოფის ქონისა, ტაბულა აშკათა გამოცდისა. |
| ნაწილი III . . . . . | ზარბაზნის წინალი და სამუხთე ყუთი; ლანკანები ყუმბარებისათვის და მასრებისათვის გასინჯვა და ნაკლულებათა მოშორება; მობყრობა და მოვლა; ჩამოთვლები და უწყებები. |
| ბრძანება ყოფილ უზენაეს მთავარ სარდლის შტაბის უფროსისა 1916 წ. № 1013. | ჩვენებები ზარბაზნების დაწუნების შესახებ ლრუების გაცვეთის მიხედვით და დაყოფა მათი კათეგორიებად. |
| ჟურნალი VII წაწ. ყოფილ საარტილერიო კომიტეტისა. 1916 წ. № 2940 | არტილერიის ნივთიერი ნაწილის გაცვეთის პრაქტიკულ ნორმათა გამომუშავების შესახებ (გარდა ქვემეხთა). |
| ყოფილ საარტილერიო კომიტეტის 1-ლ ნაწილის წარწერა 1916 წ. № 864. | გრანატის ვაზნების საშრაპნელო ლანკანებში ჩაწყობის შესახებ; აღწერა გრანატების საზიდავ საშრაპნელო ლანკანებისა. |
| სახელმძღვანელო საველე არტილერიის სამსახურისა: ნაწილი V (საომარი მასალები). | დენთები და ასაფეთქებელი ნივთიერებანი; აღწერა მასალებისა; მომზადება საომარ მასალებისა; მომზადება გასროლილ მასრებისა შემდეგი გატენისთვის. |
| ყუმბარები და მუხტები გამ. 1916 წ. | ნახატები და ცნობები ყუმბარებზე და მუხტებზე. |
| ამფეთქებელი და მილები 1915 წ. გამოც. | ნახატები და ცნობები ამფეთქების და მილების შესახებ. |
| ამფეთქებელთა მოწყობის საფუძვლები. | აღწერა ნიმუშების მოწყობისა; დაყოფა მათი ჯგუფებად — უხიფათონი და სახიფათონი; მობყრობა მათთან. |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დებულება

## რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში არტილერიის, იარაღების და საომარ მასალათა დათვალიერების შესახებ.

### I. საზოგადო დებულებანი.

1. სამხედრო საბჭოს ერთერთ წევრს, არტილერიკოსს, ევალება რესპუბლიკის ყველა ჯარებში არტილერიის, შეიარაღების და საომარ მასალათა დათვალიერება.

2. ინსპექტორის (დამთვალიერებელის) დანიშვნის შესახებ ცხადდება რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო უწყების მიმართ ბრძანებაში.

3. დამთალიერებელს ევალება გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა არტილერიის ნაწილთა მთელს ტექნიკურ მომზადებას, იქონიოს ზედამხედველობა ერთეულებში დარიგებულ იარაღზე არტილერიის ნივთიერს ნაწილზე და შემოწმება სპეციალი საარტილერიო სწავლებისა.

4. დამთვალიერებელი ემორჩილება უშუამავლოდ სამხედრო მინისტრს.

5. დამთვალიერებელი მოახსენებს უშუამავლოდ სამხედრო მინისტრს ყველა საკითხების შესახებ, რომელნიც ეხებიან: ტექნიურ და საომარ მომზადებას არტილერიის მოთხოვნილების მხრივ და არტილერიის ერთეულთა სპეციალ საარტილერიო სწავლებას.

6. ომიანობის დროს დამთვალიერებული არის უმახლობელესი თანაშემწე და მომხსენებელი ლაშქრის სარდლისა ყველა იმ საკითხების შესახებ, რომელნიც ეხებიან ყოველი ჯურის და გვარის არტილერიის სწორს და სრულს მოხმარებას საომარი ძალის მიერ.

7. ბრძანებულებები და განკარგულებანი, რომელნიც შეიძლება მოხდენილ იქმნენ დამთვალიერებელით მოხსენების თანახმად (მუხ. 5 და 6) შეიძლება გამოიცენ სამხედრო მინისტრის სახელით ან და გადაცემულ იქმნენ მის ბრძანებულების მისივე სახელით დამთვალივრებელის მიერ და ამ შემთხვევაში უნდა შესრულებულ იქმნენ, როგორც თვით სამხედრო მინისტრის ბრძანებები.

8. ავათმყოფობის შემთხვევაში ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დამთვალიერებლის არ ყოფნის დროს მის მოვალეობათა შესრულების მხრივ მას შესცვლის არტილერიის უფროსთაგან, სამხედრო მინისტრის მიერ დანიშვნით.

9. დამთვალიერებელს უფლება ეძლევა თვის დროებითს განკარგულებაში აიყვანოს არტილერიის სექციის და მის დაქვემდებარებულ დაწესებულებათა ზოგიერთი მოსამსახურენი.

10. სახალხო გვარდიის დათვალიერების დროს დამთვალიერებელი მიმართავს სათანადო სარაიონო შტაბებს.

### II. დამთვალიერებელის მოვალეობანი.

11. დამთვალიერებელი მოვალეა: ა) თვალ-ყური ადევნოს არტილერიის ერთეულებში წესდებების, სწორს და ერთგვარად გამოყენებას და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგებების და კანონდებლობების, რომელნიც კი ეხებიან სწავლებას, ტეხნიკურს და საომარ მომზადებას არტილერიის მიხედვით. ბ) წარადგინოს მოხსენებები ორგანიზაციის და სწავლების საკითხების შესახებ; გ) ხელმძღვანელობა გაუწიოს არტილერიის ერთეულების სროლის სისტემატიურ სწავლებას და ყოველგვარ მოსამზადებელ მუშაობას; დ) შეამოწმოს ამ სწავლების მსვლელობა და არტილერიის ერთეულთა საომარი მომზადება; ე) შეამოწმოს არტილერიის ერთეულების უფროსთა და აფიცერთა შემადგენლობის შეფერება, საარტილერიო მომზადების მხრივ; ვ) თვალ-ყური ადევნოს საარტილერიო სექციის და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა სისწორით მოქმედებას; ზ) თვალ-ყური ადევნოს საარტილერიო სკოლებში და კურსებზე სწავლების სათანადოდ დაყენებას; ჰ) იზრუნოს არტილერიის ნაწილებში სპეციალურ საარტილერიო ცნობების გავრცელებისათვის.

12) ომიანობის დროს, გარდა ამისა, ვალდებულია: თვალყური ადევნოს ყოველგვარ ბრძოლაში არტილერიის სისწორით გამოყენებას ტეხნიური მხრივ და ქვეითა ჯართან მჭიდრო კავშირის დაჭერით; ბ) მიაქციოს საერთოდ ჯარის უფროსთა ყურადღება და მოახსენოს არმიის სარდალს ბრძოლაში არტილერიის არასწორად გამოყენების ყველა შემთხვევების და არტილერიის მიერ მაზე დაკისრებულ ამოცანათა არა ჯეროვანად შესრულების შესახებ და გ) იზრუნოს ჯარის სასროლ მასალის, იარაღის და არტილერიის სხვა საგანთა თადარიგის დროზე და ნამდვილ მოთხოვნილებასთან შეფარდებით შევსებაზე, თვალ-ყური ადევნოს ბრძოლის დროს ჯარების სასროლ მასალების სისწორით შევსების მოწყობას.

13. დამთვალიერებელი ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს ერთეულებში მოთავსებულ იარაღების საარტილერიო ნივთიერ ნაწილის და სასროლ მასალების მართებულ მდგომარეობას პირად ან საარტილერიო სექციაში მყოფთა საშუალებით.

14. დამთვალიერებელი ვალდებულია: ა) აწარმოოს კანდიდატთა სიები იმ პირთა, რომელნიც უნდა წარდგენილ იქმნან უფროსის თანამდებობაზე არტილერიაში და დასკვნები არტილერიის დივიზიონების, ბატარეიების, ქელვაების უფროსებად რომლებიც ეგზავნება მას ბრიგადათა უფროსებისაგან და წარუდგენს ამაებს სამხედრო მინისტრს.

15. დამთვალიერებელი ვალდებულია წარუდგინოს სამხედრო მინისტრს განსაზღვრულ ვადაზე თვისი მოსაზრებანი ცალკე სროლათა მოხდენის დროის და პრაქტიკულ სროლათა მოსახდენათ სპეციალ საარტილერიო ყრილობათა დროის ხანგრძლივობის შესახებ.

16. დამთვალიერებელი, მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად, მოახსენებს სამხედრო მინისტრსა და მოახდენს არტილერიის ერთეულების გასინჯვას წელიწადში იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროთ დაინახამს, ამასთანავე სამხედრო მინისტრის ბრძანებით გასინჯავს არტილერიის ერთეულების იმ განყოფილებებსაც, რომელსაც უჩვენებს სამხედრო მინისტრი.

17. დამთვალიერებელი, მის მიერ მოხდენილ იარაღის გასინჯვის და არტილერიის ერთეულების შემოწმების შედეგების შესახებ, შეადგენს მოხსენებას თვისი დასკვნით საჭირო ზომების მიღების შესახებ, როგორც სწავლების მხრივ,—ისე ჯარების საარტილერიო მასალის მოწოდებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. პრაქტიკულ სროლათა მოსახდენათ არტილერიის ერთეულთა შეკრეფის დროს დამთვალირებელი სარგებლობს მიცემულ დროით და განსაზღრავს როგორც მეცადინეობათა გაწესებას და თანდათანობითი მსვლელობას, აგრეთვე მათი მოხდენის წესრიგს.

## III. დამთვალიერებელის უფლებანი.

19. დამთვალიერებელი საზოგადო წესის მიხედვით სარგებლობს ბრიგადის უფროს.ს უფლებით.

20. არტილერიის ერთეულთა შინჯვის დროს მას აქვს უფლება მიიღოს სამგზავრო ფული და დღიური სარგო.

21. არტილერიის ერთეულთა სპეციალ საარტილერიო შეკრეფაზე ყოფნის დროს, ესენი ექვემდებარებიან დამთვალიერებელს, როგორც ბრიგადის უფროსის უფლებების მქონეს, ბინებზე მოთავსების, გადასვლ-გადმოსვლის მთელი ნაწილების და ცალკე პირების მიერ სამსაფურის ყოველ გვარ მოვალეობათა შესრულების მხრივ და აგრეთვე დისციპლინის მხრითაც დათხოვნის ნებართვას დამთვალიერებელი აძლევს მხოლოდ იმ დროის ფარგლებში, რომელიც დანიშნული იქნება შეკრეფისათვის, ხოლო დათხოვნები, ყრილობისათვის განსაზღვრულ დროზე მეტი ხნით შეიძლება მიცემული იქმნეს დამთვალიერებლის მიერ მხოლოდ სათანადო ბრიგადთა უფროსებთან შეთანხმებით.

22. არტილერიის ერთეულთა დათვალიერების დროს დამთვალიერებელი აძლევს კანონით დაწესებულ მოწმობას არტილერიის ნივთიერი ნაწილის საგანთა გამოცვლის შესახებ, რომელნიც, თანახმად ტაბულისა, უნდა შეცვლილ იქმნენ ხაზინის ხარჯით.

23. დამთვალიერებელი სამხედრო მინისტრის მოთხოვნით, თავის დასკვნას აგზავნს არტილერიის ერთეულებში მსახურ პირთა სპეციალ-საარტილერიო მომზადების შესახებ, მათი თანამდებობაზე დანიშვნის ან ჯილდოზე წარდგენის დროს.

24. დამთვალიერებელს ეძლევა უფლება აღძრას საკითხები ცდების მოხდენის და სხვა ზომების შესახებ, რომელნიც საჭირონი არიან არტილერიის საქმის ყოველმხრივი გაუმჯობესობისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დანართი II.

### მოკლე დასტურლამა (ინსტრუქცია) იარაღეულობის და სასროლ მასალის შენახვის, მოვლის და გაფრთხილებისა და ჯართა ნაწილებში ანგარიშის წარმოების შესახებ. (წიგ. XIII და XX სამხ. დადგ. კრებ. 1869 წ).

#### ა) შენახვა.

ა) იარაღი და ყოველივე მისი კუთვნილობა მიიღება გუნდებში თანახმად ერთეულების ბრძანებისა, იარაღის გამგისაგან გუნდის უფროსის მიერ პირადათ იარაღის მეკუჭნავის დახმარებით- გუნდის უფროსი იარაღს შინჯავს გარეგნული შეხედულობით; ხოლო დაწვრილებითი გასინჯვა იარაღისა ხდება ერთეულში, საარტილერიო საწყობიდგან მოტანის შემდეგ.

ბ) გუნდში მიღებული იარაღი უნდა შეტანილ იქმნას საგუნდო აღწერაში, აღნიშვნით №-ისა, დამზადების წლისა და ქარხნის სახელწოდებისა და მიეცემა ჯარის კაცს ხელში. გარდა ამისა გუნდში, იარაღის მეკუჭნავე უნდა აწარმოებდეს ცალკე სიას, რომელშიაც აღინიშნება ჯარის კაცთა გვარების პირდაპირ №-ი თვითეულ მათთვის მიცემულ იარაღისა, დრო მიცემისა და შენიშნული ნაკლულევანებანი, თუ რომ ასეთები აღმოჩნდება იარაღის გუნდში მიღების შემდეგ. ჯარის კაცისთვის მიცემული იარაღი რჩება მასთან შეძლებისდაგვარად მთელი მისი სამსახურის განმავლობაში, იგი გამოიცვლება მხოლოდ განსაკუთრებით საპატივდებო შემთხვევებში. იარაღს ჯარის კაცი უნდა უფრთხილდებოდეს სასროლ იარაღის შენახვის შესახებ მიღებულ ყველა წესების სასტიკი დაცვით (სახელმძღვანელო დარიგება 3 ხაზიან შაშხანა თოფებიდან და ლივერებიდან სროლის შესასწავლად და 1891 წ. ნიმუშით 3 ხაზიან თოფის აღწერილობა და 1895 წ. 3 ხაზიან ლივერებისა).

გ) იარაღი, რომელიც საჭიროობს დაუყონებლივ შეკეთებას, უნდა გადაეცეს ერთეულის იარაღეულობის სახელოსნოში იარაღის მეკუჭნავის საშუალებით ბარათით დასატარებელ წიგნში და იარაღის №№-ის შეტანით, რომელშიაც უნდა აღინიშნოს დრო იარაღის სახელოსნოში გაგზავნისა და ერთგვარ იარაღეულობის საერთო რაოდენობა. ის პირი, რომელიც მიიღებს იარაღს სახელოსნოში, ხელს აწერს წიგნში, ხოლო ბარათი რჩება სახელოსნოში და უკან იგზავნება გუნდში შეკეთებულ იარაღთან ერთად შეკეთებულის აღნიშვნით. იარაღის სახელოსნოდან უკან მიღებისას სახელოსნოს წიგნში ხელს აწერს მიმღები გუნდში.

**შენიშვნა:** გუნდთა სახელოსნოდან მოშორებით ყოფნის შემთხვევაში, შესაკეთებლად გასაგზავნი იარაღი უნდა ჩალაგდეს ყუთში და დაეხვიოს რაიმე რბილი. უკან მოტანაცვე უნდა მოხდეს ამ გვარად. შეკეთებისათვის საჭირო დროს განსაზღვრავს იარაღეულობის ტეხნიკოსი,

დ) თახუმზე (კომპლექტი) ზედმეტად დარჩენილ იარაღი გუნდში, ავათმყოფების და გაქცეულებისა (ეგრეთწოდებული უხმარი) უნდა ინახებოდეს გუნდის საკუჭნაოში, იარაღის მეკუჭნავის პასუხისმგებლობის ქვეშ, რომელიც აწარმოებს მათს განსაკუთრებულ აღწერას.

ე) იარაღის წასასმელი და საწმენდი მასალები მზადდება ჯართა ერთეულების მზრუნველობით, და მათ ღებულობს გუნდში იარაღის მეუკჭნავე, რომელიც ხარჯავს და აწარმოებს მათს ანგარიშს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ) ვაზნები და სხვა სასწავლო მასალები გუნდების ერთეულის შტაბთან ერთად მოთავსების დროს, ეძლევათ საწყობიდან განსაზღვრული რაოდენობით, მოსალოდნელი საჭიროების მიხედვით, ყოველთვის გუნდის უფროსის მიერ ხელ მოწერილ. ცალკე მოთხოვნილებით, ამაებს ღებულობს იარაღის მეკუჭნავე, რომელიც ყოველთვის სროლის ან სწავლის გათავების შემდეგ, არდგენს საწყობში გუნდის უფროსის მოწმობას გასროლილ ვაზნების რაოდენობის შესახებ, აბარებს უკან დაუხარჯველ ვაზნებს და იარაღის გამგისგან ღებულობს უკან მოთხოვნილების ბარათს წარწერით, რამდენია უკან მიღებული ვაზნები.

ზ) ლითონის მასრები, როგორც სამარ, ისე უტყვიო ვაზნებისა, პრაქტიკული სროლის ან სწავლის გათავების შემდეგ, უნდა ჩაბარდეს თვლით იარაღის მეკუჭნავეს, რომელიც მოგროვების და მიხედვით, წარადგენს ერთეულში და აბარებს იარაღის გამგეს, რომელიც ხელს აწერს დასატარ წიგნში.

თ) გუნდების ერთეულის შტაბიდან განცალკევებულ ბინებზე მოთავსების დროს, სასწავლო მასალათა მისაღებად, პრაქტიკულ მაცადინობათა დაწყების წინ, მიიჩინება იარაღის მეკუჭნავე, რომელიც, ერთეულის ბრძანებით განსაზღვრულ მასალის რაოდენობის მიღების შემდეგ, ხელს აწერს მათ მიღებაზე და მოაქვს გუნდისამხედრო მასალათა გადაზიდისთვის ნაჩვენებ ყოველგვარი გაფრთხილებით, სასწავლო მასალები ინახება ცალკე საცხოვრებლიდან განცალკევებულ შენობაში, გუშაგის ყარაულობით ყოველგვარ საჭირო გაფრთხილებათა დაცვით. ეს საგნები ჩაიწერება ცალკე წიგნში, რომელიც შემოსავალ-გასავლის წიგნის დაგვარად უნდა იყოს შედგენილი, და იხარჯება საჭიროების მიხედვით გუნდის უფროსის განკარგულებით. სასროლ მასალათა დახარჯვის შესახებ გუნდის უფროსი ყოველ კვირა წარუდგენს ერთეულის უფროსის თანაშემწეს—სამნეო ნაწილის გამგეს ანგარიშს.

**შენიშვნა 1**: საყარაულო ვაზნები ინახება შინა სამსახურის წესდების თანახმად.

**შენიშვნა 2**: მცირე გუნდებს და სხვა წვრილ სამხედრო ნაწილებს, იმ ადგილებში, სადაც არ არის განსაკუთრებული შესანახი ვაზნებისათვის, ნება ეძლევათ დამზადებული ვაზნები და ფისტონები შეინახონ მცირე გუნდის საკუჭნაოებში ამ საგნისათვის დაწესებულ წესების დაცვით. ჯარებისთვის მიცემულ სასწავლო მასალათაგან ლითონის მასრები მჭიდეები, უნდა ბეჯითად მოიძებნოს ყოველი სროლის შემდეგ, ისე რომ მათი დაკარგვის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ქვემოდაწესებულ ზომას. მასრების ზომაზე მეტად დაკარგვისათვის ჯართა ნაწილებს გადაჰხდებათ ფული, თანახმად დაწესებულ ფასებისა.

**შენიშვნა**: ჩაიბარება მასრები და მჭიდეები დახარჯულ ვაზნების მიხედვით მხოლოდ სროლის კურსების გავლის დროს სათოფავზე. ამასთან შეიძლება მხოლოდ 10%-ის დაკარგვა შაშხანიან თოფის მასრების და მჭიდეების და 5% ტყვია მფრქვევის. ყოველგვარ სხვა შემთხვევაში სათოფავის გარეშე სროლისას დაკარგული ზომა არ არის დაწესებული, ხოლო ჯარებს ნება ეძლევათ ჩააბარონ მხოლოდ იმდენი მასრები, რამდენსაც ნამდვილად მოაგროვებენ, ბრიგადის უფროსის ანუ მასთან ძალაუფლებით სწორ პირის შემოწმებით. გასროლილ გულათა ლითონის ჩათვლა არ ხდება და ყველა. გულები, რომელიც შეიძლება მოგროვილ იქმნას, რჩება ჯარის სასარგებლოდ

ი) პრაქტიკული სროლის შემდეგ ნაპოვნი ლითონის მასრები და მჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეები, აგრეთვე ის სასროლი მასალები, რომელიც რჩება პრაქტიკულ ლეცადინობას რა მიზეზით გინდა იყოს, ჯარები ვალდებული არიან ჩითვალონ ანგარიშში, სასროლ მასალათა მოთხოვნილების ბარათების პირველად წარდგენის დროს. სისწორეს ნაჩვენებ მასალათა ანგარიშისა ამოწმებს ერთეულის უფროსი.

**შენიშვნა**: სასწავლო მასალის მოთხოვნის და დაუხარჯავის ანგარიშში ჩათვლის დროს, უნდა წარდგენილ იქმნას განმარტება ნაშთის დარჩენის მიზეზთა შესახებ.

კ) აკრძალულია გაყიდვა ანუ გადაცემა კერძო პირისთვის, სროლის შემდეგ ნაპოვნ ან დაუხარჯველ სასროლ მასალებისა.

## გ. მოვლა და შენახვა.

სახელმძღვანელონი: 1) აღწერა 3 ხაზიან შაშხანა თოფისა 1891 წ. და სამ ხაზიან ლივერისა 1895 წ. ნიმუშისა და 2) დარიგება თოფისა და ლივერის სროლის შესასწავლად.

გარდა ამისა უნდა იყოს მიღებული მხედველობაში შემდეგი: ა) თოფის სადებებში შემჩნეულ მოძრაობას და ზანზარს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს და ამიტომ უნდა დატოვებულ იქმნას შეუსწორებლად; ბ) ქვედა რგოლის ჭახრაკის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, ეს ჭახრაკი ჩაჭახრაკებულ უნდა იქმნას ბოლომდის და მიძეწკილი ძეწკულათი; გ) მშვიდობიან დროს თოფების ჯოჯგინად შესადგენად დაშვებულ უნდა იქმნას ყველა მოხერხებულება რომელიც უვნებლად იქმნება ცნობილ ერთეულის უფროსის მიერ. ხელუხლებელ თადარიგის თოფებისთვის კი მზადდება თოკის რგოლები, რომელიც შეიძინება ერთეულის საშუალებით. თოფების ჯოჯგინათ შედგენის დროს თუ გამოჩნდება ხიშტების წახნაგებზე ნაკბილები უნდა შეუსწორებელი დარჩეს; თუ ნაკბილები ან ლითონის გადანაჭეჭყი გარე მხრივ არის, მაშინ შეიძლება სუმბუქად წაიფხიკოს და არა მთლად.

დ) რადგან ჯარების ნაწილებში შემჩნეულია დიდი პროცენტი გალუნულ მომწვდელებისა, რაიც წარმოდგება დახვეულ საწმენდის ნამეტანი ხეხვისგან მაღალ მომწვდელებზე, საჭიროა თოფის წმენდის დროს ვაზნების კოლოფის სახურავის გამოღება.

ე) თოფების უკეთ შენახვისათვის პირამიდები უნდა გაკეთებულ იქმნენ არა იატაკის დონეზე, არამედ ერთი ადლით მაღლა, თუ მოსათავსებელი ადგილი ამის ნებას იძლევა.

ვ) სროლის შემდეგ ლულების ღრუების გამორეცხვა ცხელი წყლით აკრძალულია; უნდა გაირეცხოს უწყლო ნავთით, შემდეგ უნდა გამოიწმინდოს სიმშრალემდე და წაესვას თოფისქონი.

## დ. ჩაბარება.

ა) გაშინჯვის დროს დაწუნებული სათადარიგო ნაწილები იარაღისა უნდა ჩაბარებულ იქმნეს საარტილერიო საწყობებში, რომ ხელმეორედ არ იყოს მეორე შინჯვის დროს.

ბ) საარტილერიო ულუფის ყოველგვარი საგნები, რომელიც აღმოჩნდება ჯარებში ზედმეტად ნიმუშის შეცვლისა, ანუ სხვა რაიმე მიზე-

ზებისა გამო, და რომელნიც არ უნდა იქმნენ დატოვებულნი ჯარში, უნდა ჩაბარდეს საარტილერიო საწყობებს.

გ) განკარგულება სხვა და სხვა შემთხვევებში საარტილერიო ქონებათა ერთეულების მიერ საწყობებში ჩაბარების შესახებ, გასცემს საარტილერიო სექცია. თვალ-ყურს ადევნებს, რომ თანახმად იგი განკარგულებისა, საწყობებში ჩასაბარებელი ყველა საგნები ჩაბარებულ იქმნან სრულიად, რის შესახებ უნდა ეცნობოს როგორც ჯარებს, ისე საწყობებს.

დ) საარტილერიო ულუფის საგანთა ჩაბარების შესახებ განკარგულების მოხდენის შემდეგ ეს საგნები იგზავნება საწყობებში, თუ საჭიროა ჩამბარებლის ხელით და ამ დროს ხელმძღვანელობენ დანიშვნის სატრანსპორტო უფროსების, საარტილერიო საწყობიდან ტვირთის გადაზიდვისათვის დანიშვნის შესახები დადგენილებითა.

ე) საარტილერიო ჯარების მიერ ჩასაბარებლად განზრახული საარტილერიო ულუფის საგნები უნდა გაიგზავნოს ნაჩვენებ ადგილებში დაუგვიანებლად.

ვ) ყველა ჩასაბარებელ საგნებზე ჯარებმა უნდა წარადგინონ სათანადო საწყობებში, შეძლებისდაგვარად დროზე, გამყოლ ქაღალდები (ნაკლადნია) და ნუსხები, საგნების ყუთებში და ბოლჩებში განაწილების ჩვენებით, ხოლო იმ საგნების შესახებ, რომელთა ნაკლებიც ანაზღაურებულ უნდა იქმნას ხაზინის ხარჯით, უნდა აღნიშნულ იქმნას ნუსხებში და გამყოლ ქაღალდებში იმ საბუთებისა, რომელიც ამას ადასტურებს, ნუსხების და გამყოლ ქაღალდების გაგზავნის დროს ჯარები აცნობებენ საწყობს როდის გაიგზავნა საგნები და როდის უნდა მივიდეს ადგილზე.

ზ) ჯარებისაგან იარაღეულობის მიღების დროს, ეს იარაღები არ უნდა იქმნან დაწუნებულნი ისეთ მდგომარეობის გამო, რომელიც გვიჩვენებს ხმარების აუცილებელ ნიშნებს ან მოხდენილ შეკეთებას.

Თ) ანგარიშის გასწორება ჯარებთან და მათგან ფულების გადახდევინება ჩაბარებულ დაზიანებულ იარაღეულობაზე ხდება საარტილერიო სექციის უფროსის განკარგულებით, რომელიც სათანადო ნაწილის უფროსს სწერს ხვედრი ფულის ხაზინაში დროზე შეტანის შესახებ.

თ) ჩაბარებულ საგანთა უხეირო მდგომარეობაზე პასუხისმგებლობის ხარისხს იმ პირთა შესახებ, რომელთაც ეს დაუშვეს, აგრეთვე დროს, რომელშიაც უნდა გადახდილ იქმნას ფული, განასაზღვრავს დამნაშავეთა სათანადო უფროსი.

ი) ჯარების ერთეულებიდან საწყობებში მოტანილი იარაღები, თუ ცნობილი იქნება უხეირო ერთეულის მოუვლელობის, უბრუნდება ჯარს ხვედრი ფულის გადახდის შემდეგ, ამასთანავე შეხვევა და გადაზიდვა საგნებისა ხდება ჯართა ხარჯზე. იარაღები, რომელნიც არ უნდა ჩაბარდეს და რომელნიც ცნობილნი იქნებიან მიღებულ წესის მიხედვით უვარგისათ, გაიყიდოს საარტილერიო სექციის უფროსის მიერ განზრახულ წესით.

კ) ჩასაბარებლად განზრახული ხელის იარაღების თავის დროზე მოტანას საარტილერიო უწყების საწყობებში თვალ-ყურს ადევნებენ ერთეულთა უფროსები. საარტილერიო სექციის უფროსი, თუ შეამჩნევს ამ მხრივ დაგვიანებას, აცნობებს ბრიგადების უფროსებს ან მათთან უფლებებით სწორ პირებს.

ლ) იარაღი, რომელსაც ჯარები აბარებენ სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე დაწესებულ საარტილერიო საწყობებს, აგრეთვე ბრძოლის ველზე მოგროვილი და წარმოდგენილი მომქმედ არმიის საავათმყოფო დაწესებულებებიდან ავათმყოფ და დაჭრილებისა, უნდა მიღებულ იქმნას დაუწუნებლივ. სხვა და სხვა მიზეზების გამო ჯარებში დარჩენილი ვაზნები და სხვა სასროლი მასალები, უნდა ჩაბარდეს სრულიად კარგები მახლობელ საარტილერიო საწყობებს, ან უნდა გადაეცეს სხვა ჯარებს, ანდა კიდევ უნდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოს ანგარიშში ჩათვლილი პრაქტიკულ მეცადინობისათვის. ის ზემოაღნიშნულ დანიშნულების მიცემიდგან ამორჩევის უფლება ეძლევა საარტილერიო სექციის უფროსს.

**შენიშვნა:** სასროლ მასალათა საწყობში ჩაბარებისას, ისინი უნდა მოთავსებული იყვნენ დაბეჭდილ ყუთებში, რომელზედაც უნდა იყოს გაკრული ქაღალდი იმ ერთეულის, რომელისგანაც არის მოტანილი.

მ) ჯარების ერთეულს, სათოფავ მინდვრებზე დახარჯულ ვაზნების მასრების დაწესებულ ზომაზე მეტის ჩაბარებისათვის ეძლევა განსაკუთრებული სასყიდელი (ფუთზე 200 მან.), რომელი ფულიც უნდა მოხმარდეს ჯარის კაცთა მდგომარეობის გაუმჯობესობას.

ნ) გადასვლა გადმოსვლის დროს ჯარები ვალდებულნი არიან თან ატარონ დაუხარჯავი სასწავლო მასალები, ან და გადასცენ მახლობელ საარტილერიო საწყობებს, ამასთან გადატანა მათი უნდა მოხდეს საგანგებოდ მიცემულ თანხიდგან. თუ რაიმე მიზეზების გამო არ შეიძლება ამორჩევა ერთ ერთ აქ ნაჩვენებ საშუალებათა, იმ შემთხვევაში დაუხარჯავი მასალები ეტოვება შესანახად ჯარებს, ან და სახალხო გვარდიის რაიონის შტაბებს, რომელნიც იმყოფებიან ჯარის ერთეულის ბინასთან, ხელწერილის ჩამორთმევით; ხოლო თუ ესენი არ არიან, მაშინ დაუხარჯავი მასალები უნდა ჩაბარდეს სამოქალაქო მთავრობას ხელწერილის ჩამორთმევით. ჩაბარებულ მასალათა რაოდენობის და ვარგისობის ხარისხის შესახებ გასული ჯარები დაუყონებლივ მოახსენებენ უფროს-უმცროსობის წესით საარტილერიო სექციის უფროსის შესატყობინებლად ახალ ბინაზე მისვლის შემდეგ, თუ საჭიროა, თხოულობენ ჩაბარებულის ნაცვლად ახალს მასალებს, წარადგენენ რა ამასთანავე კვიტანციებს წინად მიღებულ მასალების ჩაბარების შესახებ.

## დ. ანგარიში.

იარაღის ანგარიშის საწარმოებლად ჯართა ნაწილებში ადგენენ:

ა) ნივთეულობის წიგნებს, რომელნიც შემდეგი ნაწილებისგან შესდგებიან: 1) იარაღების აღწერა, 2) იარაღების სათადარიგო ნაწილები და კუთვნილებანი, 3) სასროლი მასალები, 4) იარაღის შეკეთება, 5) შესახვევი მასალები.

ბ) შემოსავალ-გასავლის წიგნები იარაღის სახელოსნოსი ნივთეულობის, მასალების და ნივთების შესახებ.

გ) ხელსაწყოს ყალიბების, მოწყობილობათა და სხვა გვარ ქონებისა, რომელიც იმყოფება იარაღის გამგეობის ზედამხედველობის ქვეშ.

დ) შემოსავალ-გასავლის წიგნი საარტილერიო მეკუჭნავისა;

ე) იარაღის აწერა: გუნდებისა, ესკადრონებისა და მცირე გუნდებისა;

ვ) დასატარი წიგნი იარაღის სახელოსნოში გასაგზავნად.

ზ) რვეული სასროლ მასალათა მოსათხოვნელად.

**ბლანკები, რომლებსაც იარაღის ზედამხედველი არდგენს ჯარებში იარაღეულობის გაშინჯვის დროს.**

ა) მოწმობა თოფის ქარხნის მიერ შეკეთების შესახებ.

ბ) მოწმობა დაწუნებულ ლულების შესახებ.

გ) იარაღის გასინჯვის ჟურნალი.

დ) ტყვია მფრქვევების გასინჯვის ჟურნალი.

ე) ნუსხა სამუშავო ხელსაწყოსი, ყალიბებისა და სამ ხაზიან შაშხანა თოფების მოწყობილობისა, სამ ხაზიან ლივერის ყალიბების მოწყობილობისა, მაქსიმის ტყვია მფრქვევისა, და ხმლების პირების ყალიბების და მოწყობილობებისა.

ვ) ნუსხა იარაღისა, მოწყობილობისა და საომარ მასალებისა.

ზ) უწყება სათადარიგო ნაწილებისა, თოფის, ლივერისა, ტყვია მფრქვევისა და სხვა.

ᲗᲗ) იარაღის ნაწილთა ჩამოთვლის უწყება შეკინძული.